საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

სატენდერო დოკუმენტაცია

ელექტრონული ტენდერის საშუალებით ქ. ქუთაისში, ტ. ტაბიძის ქუჩა N27-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის დერეფანში და სამუშაო ოთახში დაზიანებული იატაკის შეცვლის და ქ. ზესტაფონში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორის, ელექტრო გენერატორის და საქვაბის შემოღობვისა და შენობის პირველ სართულზე საშხაპის მოსაწყობის სამუშაოების შესყიდვა.

CPV–45200000

1. **ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის**

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვების პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.3 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.4 პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

<u>**სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის და განმარტებებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ელგუჯა ჭანკოტაძეს ტელ: 241-19-43; 577-15-84-85. ტექნიკური კითხვებისათვის დაუკავშირდით გურამ იაშვილს ტელ: 599-71-71-51. მის: ქ. თბილისი გ. გულუას ქუჩა №8.**</u>

2. ტექნიკური დოკუმენტაცია:

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

2.1.1 სამუშაოთა ჩამონათვალი და მოცულობები იხილეთ სატენდერო დოკუმეტაციასთან დართულ ფაილებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:

2.2.1 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **25327** (ოცდახუთიათასსამასოცდაშვიდი) ლარს.

2.2.2 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი **20%-ით** ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტს მოეთხოვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება, რისთვისაც შემსყიდველის მიერ განესაზღვრება არაუმეტეს **10 (ათი)** სამუშაო დღე. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება უნდა მოხდეს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

ამასთან, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების წარუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე–13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ამ წესის მე–13 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება დაზუსტებას არ ექვემდებარება.

2.3 სამუშაოების შესრულების ვადები:

2.3.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.4 პრეტენდენტის გამოცდილება:

2.4.1 პრეტენდენტს **2013-2015** წლების განმავლობაში უნდა გააჩნდეს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების გამოცდილება, რომელთა ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ **100 000** (ასი ათასი) ლარს.

2.5 სატენდერო წინადადების ფასი:

2.5.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.5.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

2.6 ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.
2.6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს სამუშაოს ღირებულება ეტაპობრივად, ყოველი კონკრეტული სამუშაოს შესრულებიდან კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის (ფორმა N2, ფორმა N3) წარმოდგენიდან 20 კალენდარულ დღეში.
2.6.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) გამოიყენება, არაუმეტეს **30%-ის** ოდენობით, მიმწოდებლის მიერ საბანკო ან სადაზღვევო კომპანიის მიერ შესაბამის თანხაზე გაცემული გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. საავანსო გარანტიის მოქმედების ვადა **30 (ოცდაათი)** კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების საბოლოო ვადას.

2.7 პრეტენდეტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.7.1 ხარჯთაღრიცხვა სატენდერო დოკუმენტაციის დანართის მიხედვით;
2.7.2 ინფორმაცია შესრულებულ სამუშაოზე და გამოსაყენებელ მასალებზე საგარანტიო ვადის შესახებ **(არანაკლებ 5 წელი)**;
2.7.3 ინფორმაცია **2013-2015** წლების განმავლობაში განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესახებ (შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იყოს შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებები შესაბამისი მიღება-ჩაბარებების აქტებით ან/და სხვა დოკუმენტები) რომელთა ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ **100 000 (ასი ათასი)** ლარს;
2.7.4 რეკვიზიტები დანართი N1-ის მიხედვით.

შენიშვნა:

- შესრულებულ სამუშაოეზე და გამოყენებულ მასალებზე უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ **5 (ხუთი)** წლიანი საგარანტიო ვადა;
- პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს ფასები ხარჯთაღრიცხვის ჩამონათვალში მოცემულ სამუშაოთა ყველა სახეობაზე. ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი ან ნულით განფასებული სამუშაოები შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება და ჩაითვლება, რომ ეს სამუშაოები დაიფარება სხვა სამუშაოების ხარჯზე.
- პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს გაუთვალისწინებელი ხარჯი იმ პროცენტული ოდენობით, რა პროცენტული ოდენობითაც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციის ხარჯთაღრიცხვაში.
- ხარჯთაღრიცხვის შედგენისას უნდა იყოს გათვალისწინებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება.

დანართი N1

1. პრეტენდენტის იურიდიული ფირმის დასახელება;

ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;

საიდენტიფიკაციო კოდი;

ბანკის კოდი;

ანგარიშის ნომერი;

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;

ელექტრონული მისამართი;

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი

ხელშეკრულება N _____ **პროექტი**

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(ელექტრონული ტენდერი SPA----------)

ქ. თბილისი "___" _____" 2015 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტრო (მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა №**8**, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 204383176), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის ----------სახით და

მიმწოდებელი: შპს/სს/იმ/ფპ „XXXXXX", საიდენტიფიკაციო კოდი XXXXXXXXXX;

მისამართი, ტელეფონი: ქ. XXXX, XXXX ქ. №XX. ტელ: XXX XX XX;

დირექტორი/უფლებამოსილი წარმომადგენელი: XXXX XXXXXX;

საბანკო რეკვიზიტები: სს „XXXX ბანკი" ბანკის კოდი: XXXXXX; ანგ. ანგარიში: XXX XXX XXX XXX

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1 გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება" _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „სამუშაო" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ **SPAXXXXXXXXX** ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2 ხელშეკრულების საგანი

ქ. ქუთაისში, ტ. ტაბიძის ქუჩა N27-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის დერეფანში და სამუშაო ოთახში დაზიანებული იატაკის შეცვლის და ქ. ზესტაფონში, 9 აპრილისჩუჩაზე მდებარე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორის, ელექტრო გენერატორის და საქვაბის შემოღობვისა და შენობის პირველ სართულზე საშხაპის მოსაწყობის სამუშაოების შესყიდვა ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად (CPV-45200000).

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ღირებულებაა: XXXX (თანხა სიტყვიერად) ლარი.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, **გარდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან საექსპერტო კრიმინალისტების მთავარი სამმართველოს მომსახურების ხარჯების ანაზღაურებისა** (შემდგომში - „ექსპერტიზის სამსახური“).

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4 მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება ხელშეკრულების გაფორმებიდან **30** (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

ბ) წარუდგინოს შემსყიდველს სამუშაოების შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია („ფორმა N2“ და „ფორმა N3“);

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვით (შემდგომში „ხარჯთაღრიცხვა“) გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით;

ე) უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა;

ვ) სამუშაოების შესრულებამდე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მასალების, დანადგარებისა და მოწყობილობების გამოყენების საკითხი შეათანხმოს შემსყიდველთან, აღნიშნული შეთანხმება შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით, ასევე მის გარეშე;

ზ) სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი უზრუნველყოს შესაბამისი რესურსით (მათ შორის ადამიანური რესურსით, მექანიზმებით, მოწყობილობებით და მასალით). აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში მდგომარეობის გამოსწორება;

თ) ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან **15 (თხუთმეტი)** დღის განმავლობაში წარუდგინოს შემსყიდველს საავანსო საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების **30%-ის** ოდენობით.

ი) წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად მიღებული თანხები გამოიყენოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

კ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) სამუშაოების საბოლოო შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია („ფორმა N2“) წარუდგინოს ექსპერტიზის სამსახურს აღნიშნულ დოკუმენტაციაში ასახულ სამუშაოებზე დასკვნის გასაცემად;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5 განხორციელებული სამუშაოების ხარისხი და გარანტია

5.1 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა (მათ შორის ყველა სახის დანადგარსა და მოწყობილობებზე) განისაზღვრება სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებიდან **XX (ვადა სიტყვიერად) წლის/თვის განმავლობაში.**

5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული სხვადასხვა მასალები და მოწყობილობები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს დადგენილ სტანდარტებს.

5.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შესრულებული უნდა იყოს საპროექტო დოკუმენტაციაში აღნიშნული ნორმების, წესების და მითითებების დაცვით.

5.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შესრულებული უნდა იყოს უსაფრთხო, ეკოლოგიურად მისაღები გზით და მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი მუშაობით გამოწვეული ხმაური, ვიბრაცია და მტვერის გავლენა. აგრეთვე, სამუშაოების დასრულების შემდეგ უზრუნველყოფილი უნდა იქნას გარემოს სათანადო აღდგენა.

6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მიერ სამუშაოების შესრულების ვადების, ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც სამუშაოების შესრულების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს **შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სამშენებლო სამმართველოს (თანამდებობა, სახელი, გვარი)**, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით შესრულებული სამუშაო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ამ წუნდებული სამუშაოს ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოს ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტში მითითებულ საგარანტიო ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის

დაბრუნება უნდა განხორციელდეს საგარანტიო ვადის გასვლამდე.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს შესრულებული სამუშაო იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები შესრულებულია საპროექტო დოკუმენტაციის დარღვევით, რომლებიც გამორიცხავენ ობიექტის დანიშნულებისამებრ გამოყენებას ან შემსყიდველის მხრიდან მოითხოვს დამატებითი ხარჯების გაწევას ობიექტის საპროექტო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

6.6 შესრულებული სამუშაოს, გარდა ეტაპობრივის, მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით ექსპერტიზის სამსახურის მიერ ექსპერტიზაჩატარებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა N2) საფუძველზე, ხოლო სამუშაოების ეტაპობრივი მიღება წარმოებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ დადასტურებული ფორმა N3 სახით.

6.7 ამ მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, სამუშაოების მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაც.

6.8 ის პერიოდი რომელიც სჭირდება შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შესახებ ექსპერტიზის სამსახურის მიერ ექსპერტიზის დასკვნის შედგენასა და შედეგების შესახებ მიმწოდებლისათვის შეტყობინებაში არ ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადებში.

6.9 ექსპერტიზის სამსახურის მიერ ექსპერტიზის დასკვნის და ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შედეგად თუ აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია ხარვეზით, არასრულად და არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, ხოლო ამ მუხლის 6.8 პუნქტით განსაზღვრული ვადების ათვლის გათვალისწინებით მიმწოდებლის მხრიდან ადგილი აქვს ან შესაძლოა ქონდეს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადებში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ათვლა განხორციელდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის ექსპერტიზის სამსახურის მიერ ექსპერტიზის დასკვნის და ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების შედეგების შესახებ წერილობითი შეტყობინების დღიდან.

6.10 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

6.11 შემსყიდველის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად სამუშაოთა შესრულების საპროექტო საავტორო ზედამხედველობა განხორციელდება პერიოდულად, როგორც სამუშაოების შესრულების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად. საავტორო ზედამხედველობას განახორციელებს შესაბამისად უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების მაქსიმუმ **30% ავანსის** სახით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოდენობის საავანსო თანხის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან **20 (ოცი)** დღის განმავლობაში, ხოლო დარჩენილი თანხის ანგარიშსწორება მოახდინოს ეტაპობრივად, ყოველი კონკრეტული სამუშაოს შესრულებიდან კანონმდებლობის

შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **20 (ოცი)** კალენდარულ დღეში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 8.1 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

8 საავანსო საბანკო გარანტია

8.1 შემსყიდველის მიერ გადახდილი საავანსო საბანკო გარანტიის თანხის ნაწილობრივი გათავისუფლება განხორციელდება ზემოაღნიშნული პროცენტის **პროპორციულად** სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე, ხოლო საავანსო საბანკო გარანტიის თანხის მთლიანი გათავისუფლების შემთხვევაში საავანსო საბანკო გარანტია უბრუნდება მიმწოდებელს მოთხოვნისთანავე.

8.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო თანხის საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე.

8.3 საავანსო საბანკო გარანტია მიმწოდებლმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **15 (თხუთმეტი)** კალენდარული დღის განმავლობაში.

8.4 საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 14.1 პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულების მოქმედების საბოლოო ვადას.

9 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების **0.2%-ის** ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული სამუშაოს ან სხვადასხვა დანადგარ-მოწყობილობების ღირებულების **0.2%-ის** ოდენობით.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში (მათ შორის ხარჯთაღრიცხვაში) განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12 დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

13.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

14.2 წინამდებარე ხელშეკრულების 10.2 პუნქტი მე-5 და მე-6 მუხლები მოქმედებენ ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

15 ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა

გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, აგრეთვე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ (ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზის მიუხედავად), მიმწოდებელი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს მისთვის წინამდებარე ხელშეკრულების ძალით ხელმისაწვდომი ინფორმაცია და უფლება არა აქვს გააცნოს მესამე პირს, ან გახადოს იგი საჯარო. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს ნებისმიერ მონაცემს, რომელიც გონივრულად ან/და საქართველოს კანონმდებლობით ითვლება კონფიდენციალურად (შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია, სისტემების განლაგება და სხვა).

16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი_შემსყიდველს.

17 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**